



შინაარსი: არჩევანებ ევროპაში ნ. უორდანიასი. - სხვა და-სხვა ამბავი. — კვალის კორესპონდენციები. — კვირიდან კვირამდე. — * * * ლექსი, დ. თომასკ ლისა. — სენაკის სკოლის საქმე ვ. ახვლედიანისა. — ჩემი სურათი (დასასრული) ბე-ლისა.

რედაქციის ადრესი: არტილერის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ სადაც აქამდის რედაქცია იმყოფებოდა.

კვალის ხელის მომწერლებს მოვაგონებთ ვისაც ფული არ შემოუტანიათ დროზე შემოიტანონ, თეარა პირველ იელისიდან გაზეთი მოესპობათ.

არჩევანები ევროპაში.

ევროპის პოლიტიკური ცხოვრება ამ ერთ საუკუნეში აზოზობიერებულ ზღვას დაემზავგასა. მის მედგარ ტაღლებმა ყველაფერი, რაც კი გზაზე დახვდა, დაანგრია, დალეწა და ქვივილ-ხივილით შექმნა სავალი კალაპოტი. ცხოვრება, საზოგადოება, ხალხი, ექვს ფეხიან რაშზე შემჯღადარი, უკან მოუხედავით წინ გაექანა და მარდათ გადაირბინა თავისი გზა. მან ყველაფერს ხელი შეახო, ყველაფერი გააქანა, არაფერი არ დაანდო, ძველი ძირები მიწიდან ამოაკლო და ახალი დარგო — ერთი სიტყვით ძალიან შორს, შორს წავიდა. და ევროპის დაღალული ნაწილი ამ ქვამათ გაიძახის: კმარა, მოიცადეთ, უკან დაეიხიოთო. საშიშარი ხალხია წინ მიმავალნი და არა უკან ჩამორჩენილნი — თქვა მელნიმა საფრანგეთში. სამშობლო იღუპება, შევმუსროთ სოციალ-დემოკრატია — გადაიძახა გრაფ პოზადოვსკიმ გერმანიაში. ეს იყო იმავე დროს სახემწიფოს ბურჯების საარჩევნო პრო-

გრამმა. და მართლაც, ამ ორი ქვეყნის არჩევანებს, რომელიც ამ უკანასკნელ ერთ თვეში მოხდა, ერთო რამ ჰქონდათ საერთო: წესიერების დამკველინ შეერთდენ, შეკავშირდენ და ომი გამოუცხადეს დემოკრატას. ვინ არის ან პირველი ან მეორე? ვის რა სურს, ვინ საით მიდის? ამას დაგვანახებებს მათი ახლო გაცნობა. მაშ დავიწყოთ საფრანგეთიდან.

მონარქიელნი — ეს ძველი დიდების მოტრფილისი და ახალი წყობილების მოწინააღმდეგენი გახლან. მათი აზრით საფრანგეთი მაშინ დაიღუპა, როცა მას მეფე გამოეცალა. მაშასადამე სამშობლოს აღდგენა შეიძლება სამეფო ტახტის აღდგენით. და კიდევაც ეს 27 წელიწადია ისინი ერთ მეფეს ეძებენ, მარა დღემდის არ იქნა და არა. პირიქით, რაც უფრო წინ მიდის დრო, მით ნაკლებათ ფიქრობს ხალხი გვირგვინოსან მეთაურზე, ეს თავისი აზრი მან გამოთქვა 1893 წლის არჩევანებზე, როცა რესპუბლიკის მომხრეთ ხუთ მილიონ ნახევარი ხმა მისცა, ხოლო მონარქიელთ ერთ მილიონ ნახევარი. მაშინ კი დამარცხებულთა ერთმა ნაწილმა, პაპი ლეონ მე-XIII-ის ლოცვა კურთხევით, გადაწყვიტა რესპუბლიკის კანონიერ მოვლენათ ცნობა, შიგ შესვლა, მაღალი ადგილების ხელში ჩაგდება და ბოლოს რეს-

პუბლიკის გაუქმება. ერთი სიტყვით რესპუბლიკა — მონარქიელთა ხელში — აი მათი მიზანი და ლტოლვილება. ამ ახალ ვითომ და რესპუბლიკანელთ დარქვეს „შემოერთებულნი“.

ოპორტიუნისტები — ესენი რესპუბლიკანელთა უმრავლესობას შეადგენენ. ამ პარტიის წევრია: მრეწველი, ფინანსტი, ვაჭარი და მემამულე. ეს ხალხი სახელმწიფოს უყურებენ როგორც იარაღს თავის თავის გასაძლიერებლათ და გასამდიდრებლათ. ხოლო რა ფორმის იქნება მთავრობა — მონარქიული თუ რესპუბლიკანური — ეს მისთვის სულ ერთია. და თუ დღეს რესპუბლიკის მომხრეა — ეს იმიტომ რომ ამ ნაირი წყობილება არსებობს. ხვალ რომ მონარქია გამოტყვერეს იგივე ხალხი მონარქიელთა სამოსლით პარლამენტში გამოცხადდება და მთავრობის ბურჯათ შეიქნება. ერთი სიტყვით ოპორტიუნისტები არავითარ წყობილებას არ ცვლიან, ცვლიან მხოლოდ თავის შეხედულებას თანახმად წყობილების შეცვლისა. სახელმწიფოს განაგებს ლუი ფილიპი, ნაპოლეონი თუ ფელიქს ფორი — ისინი მინც ყოველგან და ყოველთვის უმრავლესობაა. როგორც გამოცდილი საქმის კაცი, ყველა ამათ თავის სასარგებლოთ იყენებს და ყველა ამათ ემხრობა.


რადიკალები — ესენი აპორტიუნისტთა მიწინააღმდეგე პარტიაა. პლუტოკრატთა ბატონობას ვერ უძლებს წვრილი ბურჟუაზია, ეს ნელ-ნელა მარცხდება არსებობისთვის ბრძოლაში და მუშათა რაზმში გადადის. აქედან წარმოდგება მისი რევოლუციონური მიდრეკილება თავისი მდგომარეობის დასაცავათ. აი ამ კლასის ინტერესის წარმომადგენელია რადიკალთა პარტია. რადიკალები — ეს ის ხალხია, რომელთა მონარქიის დროს რესპუბლიკანელები იყვნენ და იბრძოდნენ რესპუბლიკისათვის. ხოლო რესპუბლიკის დროს იბრძვიან სოციალური რეფორმებისათვის. მათი აზრით კაპიტალიზმი კანონიერი მოვლენაა, უკანონოა მხოლოდ მისი მეტის მეტი ცარცვა-გლეჯა. მამ შეეებრძოლოთ ამ უკანასკნელს და დაეტოვოთ ხელ-უხლებლათ პირველი! — ამბობს რადიკალი. ზოგი მათგანი თავის ზომიერ მოთხოვნებში უაღლოვდება ოპორტიუნისტებს, ხოლო ზოგი კი ემხრობა სოციალისტებს.

სოციალისტები — ესენი არიან მუშა-ხალხის წარმომადგენელნი და იბრძვიან არა ამა თუ იმ სოციალური სენის განკურნებისთვის, არამედ მთელი კაპიტალისტური წყობილების გაუქმებისათვის. მათი აზრით სანამ კერძო საკუთრება იქნება სამუშაო იარაღებზე, მანამდის არც მოძმის გაყვლეფა მოისპობა. მათი მიზანია წარმოების საერთოთ წაყვანა, საქმელ-

სასმელის საერთოთ, ძმურათ მოპოება. ამ მიზნის განსახორციელებლათ ის არა ერთხელ აჯანყებულა და დამარცხებულა. მისი უკანასკნელი დიდი აჯანყება იყო 1871 წ. (კომუნა), მარა 30 ათასი პროლეტარიატი განადგურებულ იქნა გამარჯვებულ მთავრობის მიერ. მუშა-ხალხი ამან დააშინა და დროებით შედრკა, უკან დადგა, მარა რამდენსამე წელს შემდეგ ისევ დაიწყო მოძრაობა. ასპარეზზე გამოვიდნენ ზომიერი სოციალისტები პოლ ბრუსის მეთაურობით. ცოტა ხანს შემდეგ კი (1879—1882 წ.) ეს დარცხენილი ზომიერება უკუ აგდეს და გედის და ლაფარგის მეთაურობით დააარსეს პირველი „მუშათა პარტია“. 1892 წ. მოხდა პარტიის პირველი კონგრესი მარსელში და შეიმუშავეს პირველი პროგრამა, რომლითაც ის 1893 წლის არჩევნებზე წარდგა.

აი ეს ოთხი დასი შეიცავს საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებას. 1893 წლის არჩევნებმა მოგვცეს 52 მონარქიელი, 37 შემოერთებული, 256 ოპორტიუნისტი და 236 რადიკალი, რადიკალ სოციალისტი და სოციალისტი. (უკანასკნელნი 51 იყო). ცხადია მთავრობის მომხრე ოპორტიუნისტები საკუთარი ძალ-ღონით ვერ დაამარცხდნენ სამინისტროს. ამიტომ საქირო შეიქნა მონარქიელთა თავისკენ გადაყვანა. ეს ჩინებულათ შეასრულა მელინის კაბინეტმა. ის, რადიკალური კაბინეტის (ბურჟუას მეთაურობით) მემკვიდრე, მოწოდებული იქმნა რადიკალურ რეფორმებთან საბრძოლველათ. ამ ბრძოლაში მას მიემხრნენ მონარქიელნიც და ასე გაატარა ორი წელიწადი, ე. ი. იცოცხლა იმიტომ რომ ეცოცხლა. მას უსაყვედურებდნენ რესპუბლიკა მონარქიელთ ჩაუკდო ხელშიო. ამიტომ მელინმა მოინდომა წმინდა რესპუბლიკანელთა უმრავლესობის შედგენა, რისთვისაც კიდევ 35 ახალი ოპორტიუნისტი იყო საქირო. ამ იმედით დაითხოვა პარლამენტი და დანიშნა მისში დეპუტატთა არჩევანი. მარა მელინი მოტყუედა. მისმა პარტიამ არა თუ მოიგო, არამედ 12 ადგილი და 182,000 ხმა დაჭარბა. მოიგეს რადიკალებმა და სოციალისტებმა. აირჩიეს 42 მონარქიელი, 44 შემოერთებული, 214 ოპორტიუნისტი, 107 რადიკალი, 50 რადიკალ-სოციალისტი, 57 სოციალისტი, 12 ანტი-სემიტი (ეს პარტია დრეიფუსის საქმემ გამოჩეკა) და სხ. მელინს მოთხოვეს მხოლოდ რესპუბლიკანელთა საშუალებით მართე ქვეყანაო, მარა მან უარი თქვა, საქიროა მონარქიელებიცო და სამინისტროც დაეცა. ამნაირათ, მელინის კაბინეტი — კაბინეტი სხვილი ბურჟუაზიის, ბუდე ყოველნაირი რეაქციონერების, მოწინააღმდეგე ყოველნაირი რეფორმების 1),

1) ერთათ ერთი მისი რეფორმაა ცოლმედიან



მოტრფილად დიდი ბაჟების, ერთი სიტყვით უკან დახევის კაბინეტი, დასცა ახალ არჩეულ პარლამენტმა. ცხადია, საფრანგეთის უკანასკნელი არჩევანი დამოლოვდა დემოკრატიის გამარჯვებით.

სრულიად სხვანაირ პარტიებს ვხედავთ გერმანიაში. პირველ ყოვლისა, აქ მონარქიაა და ყველა პარტია — გარდა სოციალისტებისა, მონარქიკული არიან. ესენი განაყოფებიან სამ უმთავრეს დასათ.

კონსერვატორები — შეიცავენ სოფლის მემამულეთ. მათი პოლიტიკური მიზანია: წოდებრივი ურთი-ერთობის განმტკიცება, აზნაურობის უპირატესობა, ხალხის უფლებების და თავისუფლების შეზღუდვა და სხვ. ხოლო მათი ეკონომიური მიზანია: მეურნეობის გაბატონება მრეწველობაზე, სამეურნეო ნაწარმოების ძვირათ გაყიდვა, რისთვისაც საჭიროა უცხო ნაწარმოებზე დიდი ბაჟების დადება და სხ. მათი შეხედულებით მრეწველობა, ბურჟუაზია — ეს „ერის“ დაღუპვის და გათახსირების ნიშანია. ერთ მათ მებაირალტრემ არჩევნების დროს კრებაზე წარმოთქვა: „ნუ თუ გერმანიის ეკონომიური ურთი-ერთობა ინგლისისავეით უნდა დაქვეითდესო!“ ამ ბრწყინვალე წოდებისთვის მრეწველობა დაქვეითება, მეურნეობა კი აყვავება.


ლიბერალები. ამათში უმრავლესობას შეადგენს სამრეწველო ბურჟუაზიის წარმომადგენელი — ნაციონალ-ლიბერალები; უმცირესობას ფინანსების და ბანკების წარმომადგენელი — თავისუფალი მოაზრენი, რომელსაც მოწინააღმდეგენი ურჩების პარტიას უწოდებენ; ხოლო წერილი ბურჟუაზიის დამცველია სამხრეთ გერმანიის სახალხო პარტია. ამათი საერთო მოძღვრება ის არის, რომ სამრეწველო ქვეყანა გაცილებით მაღლა დგას სამეურნეო ქვეყანაზე. ამიტომ მრეწველობას უნდა მიეცეს უპირატესობა. დანარჩენში კი სხვა და სხვა მიმართულებების არიან. **ნაციონალ-ლიბერალთა** პარტია მაგ. ეს 15 წელიწადია უკან უკან იწევა და ბოლოს იქამდის მივიდა, რომ კონსერვატორთ მიეკედლა და წელს ერთად გამოვიდნენ საარჩევნო ასპარეზზე. ის პოლიტიკურ თავისუფლებას აღარ დაგიდევს, თუ კი მას ეკონომიური (გამდ-დრების) თავისუფლება შეარჩინეს. მეორე ორი პარტია კი იცავს, როგორც პოლიტიკურ ისე ეკონომიურ თავისუფლებას.

მუშათა დაზღვევა უბედურად შემთხვევისაგან. მაქა ამან გამოიწვია ის რომ განიტაცდის ტუბი უცხო-შვილად მუშებს ქიწაკებენ და ცოლიანებს ითხოვენ, წაღვანდ ბიჭვლათა შემკვიდრეს, თუ ის მის ქაწანაში გადაიცვალა, განონით აწაფედი ეტყება. ეს წასაკვირვლია შემთხვევებს და ცოლ-შვილებს და შეაფეხებს ხალხის გამრავლებას. აი, რეფორმაც ამას ქქვან!

ვისუფლებას. ნაციონალ ლიბერალები მომხრე არიან ზომიერი ბაჟების, თავისუფალი მოაზრენი კი ბაჟების წინააღმდეგი არიან და აღიარებენ თავისუფალ ვაჭრობას.

კლეკიკალები — კონსერვატორებთან ერთად უფროსობის, ავტორიტეტის მოტრფილად არიან. მარა უფროსობა არა მეფის, არამედ კათოლიკური ეკლესიის, პაპის. სამოქალაქო სწავლა ცოდნა, მეცნიერება და სხვა ამისთანაები წინააღმდეგია ეკლესიის და მაშასადამე ღეთისაგან შეჩვენებულა — ამბობენ კლეკიკალები. ასეთი პარტია ყველგან — ავსტრიაში, ბელგიაში და ჰოლანდიაში — რეაქციონურ როლს თამაშობს. და თუ გერმანიაში რამოდენიმეთ პროგრესული როლი ითამაშეს — ეს იმიტომ რომ ისინი დევნილ იყვენ ბისმარკის მთავრობისაგან, და როგორც დევნილნი, ებრძოდნენ ბისმარკის ბატონობას. ისინი არა ერთხელ შეერთებიან სოციალ დემოკრატებს პოლიტიკური უფლებების დასაცველათ. დღეს ბისმარკი აღარ არის და კლეკიკალებიც კონსერვატორებს მიუახლოვდნენ. შორს არ არის ის დრო, როცა მთავრობის ბურჟუაზიის ისინი გადიქვეციან. მათი ძალა უკან ჩამორჩენილ სოფლებშია, სადაც რელიგიური ცრუ მორწმუნობა და პაპის თაყვანის ცემა ჯერ კიდევ დაცულია.

სოციალ-დემოკრატია — ეს მუშათა პარტიაა. ყველა ზემოთ დასახელებული პარტია დვას კაპიტალისტურ საფუძველზე და ამაზე აშენებენ თავის მოთხოვნილებებს. სოციალ-დემოკრატები კი, ისე როგორც საფრანგეთში, ებრძვიან თვით ამ საფუძველს და მათი გამარჯვება არის იმავე დროს ყველა ამ პარტიების დასასრული. მათი მოძღვრება პირველათ გამოითქვა ცნობილ „მანიფესტში“. ხოლო როგორც პოლიტიკური პარტია დააარსა 1861—1863 წ.წ., ფერდინანდ ლასალმა. ლასალმა, როგორც შულჩე-დელიჩის მოწინააღმდეგემ, წამოაყენა ის აზრი, რომ მუშათა განთავისუფლება შეიძლება არა მათი ხელმომჭირნეობით დაარსებული ბანკებით, არამედ სახელმწიფოს დახმარებით. ხაზინამ უნდა გამოიღოს საჭირ. საწარმოო თანხა მუშებისთვისო. სულ სხვა იყო მარქსის შეხედულება. სანამ არ მოისპობა კერძო საკუთრება, კაპიტალისტური წარმოება, მანამდის არავითარ დახმარებას არ ძალ-უძს მუშათა განთავისუფლებათ. აი ეს ორი აზრი შეიტაკენ და გამარჯვება თან-და-თან მარქსისტებს დარჩათ. 1875 წ. მარქსისტები და ლასალიანელები შეერთდნენ და შეიმუშავეს საერთო პროგრამა. ეს ლასალიანების და მარქსისტების შეერთება იყო. პარტია ჩქარა კანონს გარეშე დააყენეს და ბისმარკის დაცემადის იდევნებოდა. 1891 წელს ისევე კანონიერ პარტიათ იქნა ცნობილი და ქ. ერფრუტში შეიმუშავეს ხელ-ახალი პროგრამა წმინდა მარქსისტულ საფუძველზე. აი მისი ღედა-აზრი: მუშათა პა-



რტიის უმაღლესი მიზანია თავის-თავის და მით მთელი ხალხის განთავისუფლება კაპიტალისტურ ბატონობისაგან. ამის საშუალებაა: თავისუფალი პოლიტიკური წყობილება (თავისუფლება ბეჭდვის, ყრილობის და სხ.) და მუშათა მფარველობა (მეტი დღის ქირა, ნაკლები სამუშაო დრო და სხ.).

აი ეს ოთხი პარტია შეიტაკა გასულ კვირებში საარჩევნო ასპარეზზე. ამომრჩეველთა წინაშე წარდგა: 101 კონსერვატორი, 53 ნაციონალ-ლიბერალი, 24 თავისუფალი მოაზრე, 96 კლერიკალი, 48 სოციალ-დემოკრატი ზ სხვა წერილი პარტიები. მთავრობამ გამოთქვა, რომ ყველა პარტიები უნდა შეერთდნ სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგო. ზ მართლაც ასე მოხდა. წინანდელი მტრები ახლა დამეგობრდნ ზ იერიშით მოვიდნ მუშათა-პარტიაზე. მიუხედავთ ამისა, მან მოიგო რვა ახალი ადგილი ზ 400 ათასი ხმა. 56 სოციალ-დემოკრატი შევიდა რეისსტაჟში. მოიგეს აგრეთვე თავისუფალ მოაზრებმა, ღპაკარგეს კონსერვატორებმა და ნაციონალ-ლიბერალებმა. კლერიკალებმა შეირჩინეს თავისი მდგომარეობა. ამ ნაირათ, აქაც, როგორც საურაზგეთში საარჩევნო ბრძოლიდან დემოკრატია გამოვიდა გამარჯვებული. კონსერვატორთა „ჯვარიანი გაზეთი“ ასე ახასიათებს ამ არჩევანს: ერთი სიტყვით ახალი რეისსტაგი ისეთი სახის იქნება, როგორისაც ძველი იყო, მხოლოთ სოციალ-დემოკრატები ცოტა უფრო გამაგრებულია და ლიბერალები და კონსერვატორები ცოტა უფრო დასუსტებული.“

ნ. ჟორდანია.

სხვა-და-სხვა ამბავი.

მთხ იელის დანიშნულია საგანგებო კრება ქართველთა წიგნის გამომცემელ ამხანაგობისა. ძალიან დრო კი გამოუჩნევიათ! სწორეთ მაშინ როცა ქალაქი ხალხისაგან იცლება.

წ. კ. საზ. გამგეობის განჩინების გამო, სენაკის სკოლის შესახებ, გასულ კვირაში კერძო კრება მოახდინეს ამავე საზოგადოების წევრებმა, რასაც 60-70 კაცი დაესწრო, და გადაწყვიტეს: გამგეობას მიართვან განცხადება და ითხოვონ წევრთა საგანგებო კრების დანიშვნა ამ საქმის გამოსარკვევათ.

უმაღლესათ აღეკრძალათ უცხოელთ ადგილ მამულის შექმნა შეიზღვის პირათ, რადგანაც აქ რუსებრს ჩამოსახლება სურთ. ნება ეძლევათ მამული შეიძინონ მხოლოთ იმათ, ვინც რაიმე სამრეწველო საქმეებს იწყებს.

როგორც ისმის კახეთის რკინის გზის გაყვება სამინისტროს ორი წლის ვაღით გადაუდვია.

თფილისის გამგეობას გუბერნატორისაგან უარი მოუვიდა სამკითხველოს გახსნაზე.

ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების მასწავლებელთა ურთიერთ დამხმარებელი საზოგადოების წესდება უკვე შეუდგენია ამ საგნისთვის არჩეულ კომისიას. ამ წესდების განხილვა დანიშნულია ხუთ იელისს ქუთაისში, რისთვისაც კომისია იწვევს მასწავლებელთ.

როგორც იქმნა ქუთაისის პოლიციმესტერი სემონოვი სპართალში მისცეს ცნობალ პოლიციელის ახელედთან-ს გამო.

ბაქოს კაპიტალისტებს ამხანაგობა შეუდგენიათ იმ მიზნით, რომ თფილისში დააარსონ ქალაქის ზ სხვა სმწერლო ნიეტების მოსაშადებელი ქარხანა.

თფილისის აბანოების პატრონებს განზრახვა აქეთ ამხანაგობა შეადგინონ და აბანოები ევროპულათ მოაწყონ.

ამ ჟამათ თფილისის რკინის გზას სახელოსნოებს აფართოებენ, რადგან ყარსის რკინის გზის გამო ბევრი სამუშაო მიემატათ.

15 იელისიდან თფილისის სახლის პატრონებს დაევალებათ ქუჩების დაგვა-დაწმენდა და ნაგვის გადატან-გადაყრა.

გასულს წელს თფილისში დაბადებულა 4419 ბავში, ამაში 2234 ვაჟია ზ 2185 ქალი. ამ რიცხვში 211 (93 ვაჟი და 118 ქალი) უკანონოთ შობილია. იმავე წელს გადაიცვალა 3769 სული, ამაშია 2185 მამაკაცი და 1584 დედა კაცი. მაშასადამე ქალაქს მომატებია 650 სული. ეს ძალიან ცოტაა. იმავე წელს ყოფილა 1099 ჯვარის წერა.

მოსალოდნელია ისპანიის და ამერიკის ომი ჩქარა გათავდეს. უკანასკნელი დებეშა იუწყება, რომ ისპანიის მთელი ესკადრა განადგურეს ამერიკელებმაო. ისპანიას დარჩა მხოლოთ კდეე ერთი ესკადრა, რიმელიც ისპანიის ნაპირების დასაცავათ არის საქირო. ომი გავრძელდება ხმელეთზე. როგორც იუწყებიან კუბის ქალაქ სანტიაგოს ამერიკელები შემორტყმიან. ერთი სიტყვით ისპანია ყოველ ფეხის ნაბიჯზე მარცხდება და შორს აღარ არის ის დრო, როცა ომის გავრძელდება აღარ შეეძლება.

„კავალის“ კორესპონდენციები.

დ. ძველი სენაკი. რკინის გზა, ფაბრიკა და ქარხანა, რომლებიც უშთაერესა ფაქტორება სხვ.-და-სხვა კუთხეების ერთმანეთთან დაახლოებისა, სწორედ ქუყუთხელათ ედება ამ ჩვენ დასავლეთ საქართველსაც. და გამოჰყავს ის ცხოვრების ახალ ასპარეზზე; აი, სწორედ, რომელ ადკლსაც ეს ახალი ხანის ნაყოფი უდგება დიდი სისწრაფით აიწვეს ახალ ცხოვრების გზაზე. დანარჩენ ალაკებს, რომლებიც თუმცა აქამდის კარგ მდკომარეობაში იყო, დღეს უშთაერესი ძარღვი უწყდება და სული ძრება. და ეს ამ გვარი მდკომარეობა იქამდის გაგრძელდება, სანამ ხეობხანებულ ფაქტორების წყალობით წარმატების გზაზე მდებარე ადკლებს არ დაუკავშირდებიან. ამ გვარს წარმატე ის გზაზე მდებარე ადკლებსაგან ჩამორჩენილ კუთხეს, საზოგადოთ, მთელი ჩრდალო-აღმოსავლეთი სამეგრელოსა და განსაკუთრებით დ. ძველი სენაკი წარმოადგენს. ეს დაბა სწორედ სენაკის მაზრის ცენტრს შედგენს. დღევანდელი მისი მდკომარეობა არ შეშვენის მის მდებარეობას, მაგრამ ახალი ხანა მდებარეობის სილაშახეს და გეარტომობას როდა აქცევს ყურადღებას. მთელ ჩრდილოეთის ნაწალს ამ დაბისას ეკის მთიდან გამოსული გორაკები შეადგენს. დანარჩენ სამა მხრთ თვალგადუწდენელი მინდვრებია შემოკრული; შუაში კი მკედრ-ცოცხალი დაბა ძველი სენაკის დუქნები გამოიყურებიან. სანამ ფოთის რკინის გზას გაიყვანდენ, დაბა ძველი სენაკი კარგ მდკომარეობაში იყო. მისი ასეთი მდკომარეობა გამოიხატებოდა ვაქრობაში. ხსნებულ რკინის გზას გაყვანამდის მთელი მაზრის მპართელობა, რომელიც დღეს ახალ-სენაკშია, აქ იმყოფებოდა, და მაშასადამე გასაკვრეელიც არ არის, რომ ვაქრობას ფართო ალაგი ჰქონოდა. მაგრამ, როგორც კი ეს მაზრის მპართელობა ახალ-სენაკში გადავიდა, ძველს დაქვეითება დაეტყო; თუცა ეს დაქვეითება პირველ ხანებში არ იყო შესაშინევი, მაგრამ მერე თან-და-თან დააზნდა და ამ უკანასკნელ წლებში კი წელში გატყდა. უშთაერესი სახსარა დ. ძველი სენაკის მცხოვრებთა სიმინდი და შინაური პირუტყვია. აი ამაზეა დამყარებული მათი სიმდიდრე, სასმელ საჭმელი, ტანსაცმელი, მტერი და მოყვარე ჭირი და ლხინი. თუ ამ ორ სახსარს ბაზარი უშოვა და გაჰვიდა ხომ კარგი, თუ არა და მშვიდობით ცოლა და შეილო. დღეს დაბა ძველ სენაკში, სადაც ორასამდე დუქანია, იქნება თორმეტი მოიძებნებოდეს იმისთანა, რომ ლებსაც კიდევ შეეძლოთ ორი-სამი წელი გაუმკლავდენ უსო-წყალო კრიზისს. მრავალი სამიკიტნობის პატრონები იქამდის მივიდენ, რომ პატენტის ასაღები ფულიც

ველარ მოახერხეს და მაშასადამე იძულებული იყვნენ ვაქრობისთვის თავი დაენებებიათ. ამ უკანასკნელ 1898 წელმა ისეთი მეზი დასცა დაბა ძველ სენაკს, რომ საშინლოთ დააქვეითა. ორი და სამი ვაქარი ერთათ იღებდა პატენტს. იქნება ამით ჩვენი გაფუჭებული საქმე გამოვაკეთოთო, მაგრამ არ მოგეცათ სიაფე, რაკი ერთნელ შედგა დაღუბის გზაზე აქაური ვაქრობა, იმისი წარმატება იქამდის არ შეიძლება, სანამ ახლის შუქი არ შემოანათებს. ყოველ წლიურათ აქ იმართება ოთხი „იარმუკა“, მაგრამ ამასაც ძარღვი უწყდება და უწინდელ ელფერს ჰკარგავს. იქნება ვინმემ იფიქროს, რაკი დაბა ძველ სენაკის მცხოვრებთ სიმინდი აქეთ და შინაური პირუტყვი ჰყავთ, არაფერი უქირთო. შეცდებით. არა, სიმინდი თუმცა აქეთ, (რის მოსავალმაც ამ უკანასკნელ წლებში ძალიან იკლო), მაგრამ რათ უნდათ მარტო სიმინდი სასამინდში რომ ეწყოს, თუ ბაზარს ვერ უშოენიან. დაბა ძველ სენაკის სიმინდის მოვაქრენი უმეტესათ ისეთებია, რომლებიც, თუნდაც იაფობის დროს ყველა ერთათ შეერთდენ, ვერ გაუძლებენ ულმობელ კრიზისს. აქედან ცხადია, რომ ეს მოვაქრენი მაშინ არიან სიმინდის მყიდველნი, თუ ნახევარ ფასათ მისცემენ. რა არის უშთაერესი მიზეზი, რომელმაც ასე გააქარწყლა დაბა ძველი სენაკის ვაქრობა და ასე ულმობელათ შეაკვეცა ფრთები ყოველ გვარ წარმოებას? ამ ს მიზეზი სწორედ ახალ-სენაკია! შემოხსენებულმა რკინის გზამ ხალხი თავისკენ მიიზიდა. მისი წყალობით დაბა ძველი სენაკი წელში გატყდა და სულს ებძვის. ამ რკინის გზამ დაბადა ახალ სენაკი, რომელიც პირველათ რკინის გზის სადგურს წარმოადგენდა, შემდეგ რკინის გზას გვერდში ამოეჭიმა თითო და ორ სართულიანი სახლები. ცოტახნის განმავლობაში ფრთები შეისხაღ მთელი მაზრის მპართელობა აქ გადმოვიდა. რკინის გზის მატარებლის მიმოსვლამ იმატა და მცირე ხნის განმავლობაში ახალ სენაკი ერთ უშთაერეს სადგურათ შეიქნა ფოთსა და სამტრედიას შუა. მატარებლის მიმოსვლას ხალხის მიმოსვლაც მოჰყვა. ახალ სენაკი თავის სარბიელს თან-და-თან აფართოებს, ღონეს იკრებს; ვაქრობა გაჩაღდა. ხალხთა მიმოსვლამ რესტორანებს და სასტუმროების საქროება გამოიწვია, ერთი სიტყვით ყველაფერს ახალი ხანის ბეჭედი დაეტყო. აი ასე ძლიერა მოსილოთ ამტყერებს ერთი ალაგი მეარეს. იქნება ძველ სენაკმა უსაყვედუროს ახალს: მე გშობე და ახლა წიხლებს რათ მესერიო, მაგრამ არა, ახალი—ძველს როდი უშობია, ის ახალმა ხანამ შობა, მისი ღვიძლი შეილია. იქნებ იკითხოთ: აბა ძველს არაფერი ეშველებოდა? რატომ არა, მაგრამ ჯერ-ჯერობით სანამ ისიც რკინის ფეხება არ გაიკე-

თებს და ოქროს ხმაღს არ აიღებს ხელში, მანამდის ასე წელში გაწყვეტილი დარჩება, როგორც დღეს არის. დღეს დღეობით დაბა ძველ სენაკს და საზოგადოთ მთელს სამეგრელოს აქაური სათავად-აზნაური სკოლა ანუ გეგებს. მაგრამ ამ სკოლასაც კუჭი ატყივდა; ატყივდა და კიდევ როგორ, ეს მთელ სამეგრელომ იგრძნო. მიიკითხ-მოიკითხეს, გამოიძიეს და აღმოჩნდა რომ, ამის მიზეზი იგივე ფული ყოფილა ე. ი. ოქროს უზომო ყლაპვა. მეც დარწმუნებული ვარ, რომ ეს აზრი ჭეშმარიტია. სხვა დაბა ძველ სენაკს არაფერი აქვს საკვებნი, გარდა იმისა რომ უკანასკნელ მდგომარეობაშია.

გეგა შ — ის.

ს. ჭიათურა. ამ ჟამათ ჩვენი, ჭიათურელთა, ყურადღება მიქცეულია შორეულ სატახტო ქალაქ პეტერბურგისაკენ საიდანაც გულის ფანჯრალით მოველით ჭიათურის რკინის გზაზე ტარიფის გაიფებას, რისთვისაც აგერ ნახევარი წელიწადი გადის მას აქეთ რაც ამ საგნის შესახებ გაემგზავრა პეტერბურგს ბ. გ. ზდანოვიჩი. ხსენებული პირი იქ დარჩება სანამ საბოლოოთ არ გადაწყდება ეს ჩვენი საჭირ-ბოროტო კითხვა. არაფერ იცის რა ბედი მოელოს „მას ქამსა შინა“ გაგზავნილ შავი ქვის მწარმოებელთა „სახეწარს“, დარჩება უყურადღებოთ დატოვებული და ამის გამო მოგვიხდება ისევე მამა-პაპური ურმების სერებიდან ზესტაფონამდე აჭრიალება, თუ ბედი გაუღიმებს და შეწყნარებულ იქნება მათი კანონიერი თხოვნა. სანამ ამის მოლოდინში ვართ გართული ურიგო არ იქნება ვიკითხოთ, რას მოგვიტანს ჩვენ ტარიფის გაიფება? მართლა გაგვიმართლებს ყველა იმედებს რასაც დღეს-დღეობით დიდი და პატარა ევოცნებობთ? გაუმჯობესებს შავი-ქვის მწარმოებელთა აწინდელი უნუგეშო მდგომარეობას? და ან როდემდე გაატანს ის დრო ნეტარი. სხვების რა მოგახსენო და თქვენი უმორჩილესი მონა კი ეჭვის თვალთ ვუტყვი ამ ოქროს დროს, რასაც აქ ებრაელთა მესიასავით მოელიან. რა თქმა უნდა ტარიფის გაიფება ერთ-ერთი საშუალებათაგანია ფას დაცემული წარმოების ზეზე წამოსაყენებლათ, მარა მართო ტარიფის გაიფება შესაფერ ნაყოფს ვერ გამოიღებს თუ სხვა მხრივაც ხელი არ შეეწყო ხსენებული წარმოების აყვავებას, რაშიაც ჩვენი შავი-ქვის მწარმოებლები დიდათ კოჭლობენ. მე მოგახსენებ საზღვარ-გარეთის ბაზრის კონკურენციაზე, რომლის მწარე გემოც უმეტესობას ნაგემები აქვს. საზღვარ-გარეთის ბაზარზე ერთმანეთის შეცილება, საქონლის ერთი მეორეზე იაფათ შეძლევა, გაიფებული ტარიფის წყალობით აქ აწე-

ულ შავი ქვის ფასს ხელ-ახლავ ძირს დასწევს, ხელ-ახლა გააიფებს, რასაც იგივე მოჰყვება რომლის მოწმენიც დღეს ვართ. ამ საგნის სასურველათ დასაბოლოებლათ შარშან ამოიჩინეს კომისია ბ. გ. ზდანოვიჩის თავმჯდომარეობით, რომელიც ბევრს ეცადა საზღვარ-გარეთის ბაზარზე გამყიდველ ყველა სავაჭრო სახლების შეერთებას, სინდიკატის შედგენას, რომლის ხელითაც სხვების შეუცილებლათ უნდა გაყიდულიყო. ყველა შავი-ქვის მწარმოებლების უმრავლესობა მიემხრო ბ. ზდანოვიჩს, მთავრობას წარუდგინა პროექტი და გამოთხოვა განსაკუთრებით სინდიკატისათვის უპირატესობის მინიჭება ტარიფის გაიფებით. ვინც ჩაერიცხებოდა სინდიკატში, ისარგებლებდა შეღავათიანი ტარიფით, ვინც გაჯიუტდებოდა, გვერდს აუხვევდა სინდიკატს და მოისურვებდა ქიშობის გაწევას, მას გადახდებოდა აწ არსებული „საურმე ტარიფი“. მარა ეს პროექტი მთავრობის მიერ არ აქნა შეწყნარებული და მით, სამუდამოთ თუ არა, დროებით მაინც შეუძლებელი შეიქნა უკონკურენციოთ ქვის გაყიდვა.

გასული წლის მიხედვით, ჩვეულებრივ, წელს მარტოში ქ. ქუთაისს უნდა მომხდარიყო შავი-ქვის მწარმოებელთა წლიური კრება, მარა გ. ზდანოვიჩის პეტერბურგში დაგვიანებამ, აქ ეს კრებაც დაგვიანა. განსახილველი საგნები თავისივე ბევრი აქეთ, თუმცა „ზოგი რამ სახეწარს“ ჩვენც გექონდა მათთან წარსედგენი. მათ შორის მოვიხსენებ: 1) ჭიათურაში ეკლესიის აგების საქმეს. 2) აღრე გარდაცვალებულის შავი-ქვის მწარმოებელთა სავაჭრო სახლის „კავშირის“ მიერ დაარსებული და დღეს მის მიერ ობლათ შეთენალი ჭიათურის სამრეგლო სკოლის თუ გადიდების არა, შემწეობის აღმოჩენას. 3) ჭიათურის ერთი მუქა ინტელიგენტებისაგან დაარსებული ღ დღეს უსახსროთ დაგდებული უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს შემწეობის აღმოჩენას და სხ. და სხვ. ერთი სიტყვით (ღმერთო კაი ყურით გაიგონე და) სახეწარს მათთან ჩვენც ბევრი გვაქვს თუ კი გამგონი ვინმე გვეყოლა.

გ. ბეჭაძე.

სოფ ჯეჯანი (შორაპნის მახრა). ლელვანის საზოგადოება შედგება რვა ასი კომლი მცხოვრებისაგან, შემდეგი შვიდი სოფლებით: ლელვანი, მარელისი, სხლითი, საღანძილე, ვანი, ზედუბანი და ვანანი. არა მგონია დღეს საქართველოს რომელსამე კუთხის საზოგადოება იყოს ასე ყოველგვარ წარმატების მხრივ უკან ჩამორჩენილი, როგორათაც ს. ლელვან-მარელი-სია. წარმოიდგინეთ იმოდენა სოფელში ერთი ხეირიანი სასოფლო სკოლაც კი არ არსებობს. როგორც იყო შარშან გაიხსნა ს. მარელისში ერთ კლასიანი


სკოლა მარა შენობის ასაგებათ ჯერ კ დევ ვერ მო-
რიგებულან. ყველასთვის ცხადია, რომ ხალხისთვის
ანუ საზოგადოებისთვის რიგიანი კაცი არის საჭირო
და ეს უკანასკნელი ლეღვან-მარელისში დიოგენის
ფანრით საძებარი გამხდარა. ამისთვის აქ ოდნავაც
არ შეცვლილა ძველი ადამის დროის ფანტიკური
მიმართულება; მიუწოდებელი საგნის გაღმერთება, მკით-
ხავ-მარჩიელების მოძღვრების სიწმინდე-სინამდვილე-
ში დარწმუნება და „მოსე მწერალი“-სებური ვაჭბა-
ტონების ურცხვი თავ აშეგებული პარპაშობა.

საზოგადო შეხედულობით რომ ეთქვათ აქაურ-
ნი მკვიდრნი არც ისე ზარმაცი და ჩლოუნგი არიან,
მარა რა ჰქნან როცა სათავეში ისეთი გზის ამრევი
მოწინავე ჩადგომიან. როგორც ზემოთაც ვთქვით,
მოსე მწერალისებური მწერალი, მამასახლისი — აი ვინ
პატრონობენ ჩვენ საზოგადოებას.

დადგა გაზაფხული; ამ დროს ჩიტიც კი იბრძვის
არსებობისათვის და გამოდის შრომის ველზე, აქაუ-
რებს კი უდგებათ ძველი არმაზის დროის გამოგო-
ნალი უქმე დღესასწაულები, კვირა ხომ კვირაა და
ეს ჩვენი ქრისტიანობის პირველი საუფლო დღეა,
მარა ამათთვის პარასკევი უფრო დიდი უქმეა, მერე
კობახჯრობა, ქიჯრობა, მათის ორშაბათი, შვიდ მა-
ისობა და სხვა ამ გვარები, ასე რომ, მთელი ერთი
თვის განმავლობაში ხუთი დღე თუ გამოერიათ მუ-
შაობის დღე ისიც კარგია. ელიობას აქ მგონი შეიდ-
ჯერაც კი უქმობენ წელიწადში. ქართულ ენას ხომ
ასე გაღამახინჯებულს ვერსად შეხედებით; ქართულ-
ში ურევინ დამტერულ უცხო ენას და ვერ შეუგ-
ნით რომ ამ ნაირათ მოლაპარაკე ამახინჯებს თავის
სამშობლო ენას და ამტერებს უცხო ენასაც. ყველა
ამ გვარი ნაკლი რომ ჩამოეთვალათ ძალიან შორს
წაგვიყვანს და ანით მკითხველ საზოგადოებას უფრო
თავს მოვაბეზრებთ, მხოლოთ არ შემძლია უყურა-
დლებოთ დაეტოვო შემდეგი გარემოება: ს. ლეღვან-
მარელის ახლავს თორმეტი ვერსის მანძილზე მო-
შორებით სოფ. სახლარ-ნასოფლარი; ეს ადგილი
როგორც ძველი არხელოლოგიური ნაშთებიდანა ჩანს
ძველ დროში კარგა მოშენებული სოფელი ყოფილა.
შემდეგ სხვა-და-სხვა მტრების შემოსევის გამო გავე-
რანებულა აქაურობა და გადაქცეულა ტყეთ. რამდენ
ხანს დარჩენილა ასე პარტახათ ეს ადგილები ჩვენ არ
შეგვიძლია ავხსნათ, მხოლოთ ამ ორმოცე წლის
წინეთ გადმოსულან აქ ლეღვან-მარელისლები, გაუ-
კაფავთ ტყე, უთესიათ ყანები და ამნაირათ უსარგე-
ბლიათ მთელ სოფელს ტყითა და სახნავ-სათესით;
გაუკეთებიათ ქოხები, გაუმართავთ აგართა (xy-
toph) სამუშაოთ, გადმოსულან საქონლით და ხიზნით.
ამნაირათ ცოტ-ცოტა მოუშუშავებიათ ადგილები და

ზოვიერთები სამუდამოთ დასახლებულან, ასე რომ
დღეს ორმოც-და-ათამდის მოსახლე ითვლება. ზა-
ფხულობით ხომ მრავალი მოდის საქონლით და ხიზ-
ნით. ეს ამოდენა ხალხი ისეა მოწყვეტილი ყოველ
გვარ კაცობრიულ წყობილებას, როგორც ეული
მოხეტიალე ბოშები. ამათთვის არც სკოლაა, არც მა-
სწავლებელი, არც ლეღელი; არიან ისე ხატის ხარსა-
ვით გაშეგებულნი... ქე მინც ბეგარიდან თავისუფა-
ლი იყვენ. მეტსაც ახდევინებენ, ნაკლებს ვინ დაუ-
ჯერებს. აქაური ტყე დღეს ხაზინის ხელში გადასუ-
ლა და გლეხებს მარტო სახნავ-სათესი დარჩენია; ამი-
სთვის ხშირათ დიდ შევიწროებაში ვარდებიან. აქა-
ურ გლეხებს, დაჭირდებათ შეშა ან რაიმე საოჯა-
ხო მასალა და ასი ბატონი გაუჩნდება ლესნიჩიდან
დაწყებული უკანასკნელ ტყის მცველამდე. ტყის
მცველთა უფროსს ბ. მაისუროეს მოუყვანია აქ აბიე-
შიკებათ ვილაც ოსი თემსარქოები და იმათ თავ-გა-
სულობას საზღვარი არა აქვს. რასაკვირველია ამ-
ნაირი თავ აშეგებული ველური მდგომარეობა ყო-
ველ გვარ გარყენილობა და ავაზაკობამდის მიიყვანს
ადამიანს; და ასეთი მაგალითები მრავალია ჩვენში.

შავი მთის მუშა.



კვირიდან კვირამდე.

ქქესი საზღაპრო ამბავი: ეშმაკის ოინუბი —
ეშმაკის ადგოვტი — ერთი ქადაქის გადაწყუ-
ლება — მძიმე-მძიმე საგანზე — სასაღ მოდის მუ-
გობრობა — უაჭამანინის“ მასაღა.

ოყო და არა იყო — იყო ერთი ეშმაკი. ის იყო სა-
სტიკი და შეუბრალებელი თავის ქვეშევრდომთა მი-
მართ, არავის არ დაინდობდა, არავის არ მიოკარებ-
და. ბოლოს ეს მისი თავნებობა ველარ მოითმინეს
და ხალხი აჯანყდა. მიმართეს ყველა ცნობილ
და გავლენიან პირს, შესტირეს ცას და ქვეყა-
ნას, დაგეხსენით ამ ტანჯვა-ვაებისავანო. მარა ყველა
ამ მუდარამ ამაოთ ჩაიარა, თურმე ის სახელოვანი
ეშმაკი მარტოთ მარტო კი არ ყოფილა ამ ჩვენ უბა-
ღრუკ ქვეყანაში. ყოველგან, ყოველ კუთხეში ერთი
ორი ბელზებელი მინც არის და აბა ეშმაკი ეშმაკს
როგორ უღალატებს. საქმე მივიდა ყოველად ძლიერ
ტარტაროზამდის, რომელსაც მოჩილობენ პატარა
ეშმაკები და ჭინკები. მან შეჰყარა თავისი ვეზირნი და
დიდი ხნის თათბირს შემდეგ ასეთი განაჩენი გამო-
იტანა: მართალია ის მოპასუხე ეშმაკი ძალიან ტან-
ჯავს ქვეშევრდომთ, მარა ერთი მითხარით რატომ
განდევნეს ეშმაკი სამოთხიდან თუ არა იმატომ, რომ

იქ მისთვის ადგილი აღარ იყო და ისევ ქვეყანაზე იპარპაშოსო. ჩვენ თუ ეს პარპაში მოუშალეთ—ერთი მითხარით საით უნდა გავისტუქროთ? ამ მოსაზრების ძალით ეშმაკი გამართლებულია და კადვე დაველოს თავისი ხელობა კარგათ და მარდათ ასრულლოსო.

* *

ქვეშევრდომთ ელდა ეცათ, აქეთ გაექანენ, იქით გაექანენ და ბოლოს ერთ საშუალებას მიმართეს: მოდი ერთი გარეშე ხალხი შევეყაროთ და მათ მოვახსენოთ ჩვენი გაჭირვებაო. ითქვა—ასრულდა. დანიშნულ ადგილას მოაწყდა აუარებელი მსმენელი. მარადგანაც ხალხი უბატონოთ ვერსადა ძღვებს, აქაც ერთი უფროსი აირჩიეს და მას თავმჯდომარე დაარქვეს. არჩეული წამოდგა და ამომჩიველთ ასე მიმართა: თქვენ მე ამირჩიეთ, ძალიან კი შეცდით. თქვენ აქ ეშმაკის გასამართლება გსურთ, მე კი ეშმაკის ადვოკატი ვარ, ამიტომ მე ნებას არ გაძლევთ აქ ილაპარაკოთო. აკი მოგახსენეთო, მიუგო ერთმა ეშმაკი ყოველგან თავის უხილავ ხელს აფათურებს, მარა აქაც თუ მას ადვოკატი ამოუჩინებოდა და ისიც ჩვენ ბატონათ განდებოდა, აღარ მეგონაო. ატყდა ერთი ვიუშველგებელი, სამართალი, სამართალიო გაიძახოდენ ოთხივე კუთხიდან. ეშმაკის ადვოკატი შედრკა, მისი ფინიები დაღუმდენ, „სადაც არა ჯობს გაცლა ჯობსო“ და ბოლოს ჩუმათ წავიდ წამოვიდენ. დამარცხდა ეშმაკის მოციქული. მარა თითონ ეშმაკი კი თავისუფლათ დანაფარდობს და თავის საბრძანებელს ისევ ძველებურათ განაგებს..

* *

აი კიდევ ერთი საზღაპრო, მარა ნამდვილი ამბავი. იყო და არა იყო—იყო ერთი „საგარდო და სამაისო“ ქალაქი. აქ ერთობ ძალიან ბევრი მუქთა ხალხი იყო და დროს ლაპარაკში ჰკლავდენ. ერთ შევნიერ დღეს ქუჩებზე საყვირით დაიყვირეს: ამ საღამოს სამშობლოს ბედ-იღბალი უნდა გადაწყდეს და მობძანდითო. დარბაზის კარებს მიაწყდა მთელი ბულგარი. მომწვეველმა სტუმართ მოახსენა საგანი თავყროლობისა: ჩვენ დღეს გავხეთი აღარა გვაქვს, იმ ერთმაც ჩაილულის წყალი დაღია, საჭიროა რამე ვილონოთო. მაშინვე ზეზე წამოხტა ერთი იქაური ორატორი, რომელიც სასამართლოებში ხშირათ მჭევრმეტყველებს თურმე, და დაიწყო: თქვენ აქ ვინც შეყრილხართ, საქმე არ გქონებიათ, რა გავხეთი, რის ფლავი, რის ბოზბაში. ქართულ გავხეთს მე არ ვკითხულობ, მე აი „ობოზრენის“ ვლებულობ და მყოფნის. ქართული გავხეთი კი, თუ მაინც და მაინც ხალხისთვის არის საჭირო, შიკ ჰიგენა, ლოცვები ზღაპრები უნდა იბეჭდებოდესო. ამ სახელოვან „რეის“ შემდეგ ორმა წელმა განელო და ახლა, როგორც ჩანს იქაური ხალხი ამ სიტყვებს მოურჯულებია. მაშ რას ნიშნავს იმავე პირის ქალაქის მეთაურათ გამოყენა თუ არა მის რჯულზე წასვლას? აი ეს უნდა იყოს ის პროგრესია თუ რაღაც ჯანდაბაა..

* *

არა ნაკლები საჯაყი საქმე მეორე მის შორი-ახლო მდებარე ქალაქს ემართება. აქ უფრო მკარ-

ცხლი და ცელქი ხალხი ცხოვრობს და დღე მუდამ იმაზე ფიქრობენ, როგორ გავიკეთოთ ფრთები, მალლა აფერინდეთ და ქვეყანა გავაშტეტოთო. აქ სულ მძიმე-მძიმე საგანზე ბაასობენ, პროგიმნაზიაო, რკინის გზაო და ვინ რკის კიდევ რა. მარა ამ ფართი - ფურთის მოყვარულთ ერთი რამ აკლიათ:




ინგლისის პარლამენტი.

საქართველო
საბჭოთაო



აფრიკელი ქალი.



სრულდებით არ აქცევენ ყურადღებას ქალაქის უფრო წერილ მარა არსებობს საჭიროებებს. ამას წინეთ აქ სამაზრო სამმართველო ერთიანათ გადა-ბუჯა და ასე გაშინჯეთ უბრალო დოქიკ კი ვერ იშოვეს წყალი დაესხათ, თვარა ცეცხლის მქრობელ მანქანას ვინლა ჩივის. აი სწორეთ ეს ყოფ-ლა გაწეს რიგებულო ქალაქი! მარა რას იზამთ, მაღლა მყვირალნი დაბ-ლა არ იხედებიან, და თუნდაც მთელი ქალაქი გადა-იბუჯოს, ოღონდ კი ერთი პროგრმნაზ ახე ილაპარა კონ! მახლას!

* *

ამ ქვეყანაში მას ეამსა შინა ერთი „ამხანაგო-ბაც“ დაარსეს. ქვეყანა სიხარულმა მოიცივა, ახლა კი ეშველება მაინც ჩარჩებისაგან ყბ.თ აღებულ პარკსო. ბოლოს საქმე ისე დატრიალდა, რომ ეს ამხანაგობა თანდათან ეაჭრებს დაუკავშირდა და კიდევაც საქვე-ყნოთ ამტკიცებდენ: უიმათოთ არსებობა არ შეგვი-ძლიაო. კარკი და პატიოსანი, ზამთარში საემე მანც არაფერი აქეთ, და დეე ვისაც უნდა იმას დაუმეგო-ბრდენ, მარა აი დადგა ზაფხული, შემოვიდა პა-რკი და აირია მონატერი. გუშინდელ კეთილის მყოფელს აღარ მოწონს „ამხანაგობა“. ეს ჩვენ გვიწევს მოცილოვბასო და „დანოსი დანოსზე“ მი-დის, ზოგი ბანკებში, ფული არ მისცეთო, ზოგი სო-ფლებში პარკი არ მიჰყიდოთო და სხ. ერთი სიტყვით ეს მეგობრები დაეტაკენ ერთმანეთს და ლამის არის თან გადაიტანონ „ამხანაგობაც“. იმედია ეს ბრძოლის ხანაც ჩქარა გაივლის და მერე ისევე მტკიცებას და-გვიწყებენ: ჩვენთვის ეაჭრებია საჭირო ხალხი, მწარ-მოებლებს რა თავში ვიხლითო! ესეც მახლას!

* *

ეს ხომ ყველა ზღაპარია, მართალი როგორ იქნებაო — მეტყვიო. არა ბატონო, სულ ყველა ნამდ-ვილი გახლავს. რა ექნათ, ის რაც სხვაგან ზღაპარ-შია მოთხრობილი ჩვენში ყოველ ფენის ნაბიჯზე ხდება და სწორეთ ამიტომ ჰგონია კაცს ზღაპარიაო. დიახ, ეს ჩვენი ამბები საზღაპროა, საზღაპრო. ვინ უნდა დაჯეროს აბა ასეთი ამბავი: ერთ სკოლაზე წელიწადში რვა ათასი მანეთი იხარჯება, ხოლო მე-ორეზე, იმავე პროგრამით, და იმავე „საზოგადოების“ ორი-ათასი მანეთი! და კიდევ პირველი სოფელშია, მეორე ქალაქში, მეორე სწავლის მხრით უფრო კა-რგათ დგას, ვინემ პირველი. რატომ, რისთვის, სად არის ეს გადასაყრელი ფულები? ეს ჰკითხეთ ქეთა-ისის სააზნაურო ბანკს და წ. კ. საზ. გამგეობას. ამ დაუჯერებელი ამბავის მომავლინებელნი ესენი არიან და იმედია ცოტა ხანს შემდეგ თითონ გადა-იქცევიან დაუჯერებელ ამბათ და „ყარამანიანის“ მე-16 კარში უმთავრეს ადგილს დაიჭერენ...

* *

სტრფოს ვეძებდი ქვეყნათ
ლიხსს წმინდა სიყვარულისს,
სსიკუბის მამოყენს, სინცოცხლით
აღმფრთოვანებულ სულისს.
და უუქს ვუგდებდი ეველადეფს,
რაც კი გუქს იამებოდა,
მაგჩამ, ვაი, რამ იმავ წამს
იგი მას ევლათ სვადებოდა!
გუქის ფანცქალით ვამბობდი:
იგი სად აჩის რა იქნა?
უშისოთ გუქმა სიამე
ვექ შეიოვისა აჩ იქნა!..

ცელქი მდინარის ნაპირას
ვიდექი სულ განაბული,
გული დელავდა გიგულტის
ძებნაში დამწვარ-დაგული...
თვალს ვადკენებდი მდინარეს —
მის ძალხაზ ტალღა-ზვირთებსა, —
იქ იმის თვალებს ვეძებდი,
ვით ძვირფას მარჯალიტებსა,
დიდხანს ლოდინმა, ივიქტებმა,
დამადნო, სულ დამადუნა...
„აქ მას ვექ ნასავ, ტუუვდები!“
მდინარემ წაიდუდუნა.

აბიბინებულ მინდორ-ვექს
თვალ ცრემლიანი დავცქერდი;
ტკბილ სანეტარო ოცნებით
მთლათ მექსებოდა გულ მვერდი...
საღამოს სიამ დავბუქა,
გუქს თითქო რადაც იამა...
„აქ მას“ ვექ ნასავ, ნუ ექებ!“
ჩამახურჩულა ნიავმა!..

იმედ დავარგულს ბუჩქის ძირს
გულ-ხელ დავრეფით შეძინს
და ძილში მქსმა სმა ნაზი,
თითქო ციუჩი „ნანინა.“
შეგვრთი, წამოვსტი, ავთრთ ლდი, —
სმა სანეტარო ტკბილ იყო,
მიმოვესდექი, ვექ ვნასე,
წამს უჩინარათ ქმნილ იყო!..
გუქმა ფანცქალი დამიწყო:
ნამდვილ ის იყო, ის აჩი!
და ის სმა სამარადისოთ
გუქს ჩამჩნა რეგორც ისაჩი!..

მითი კსუდდგუღაბ დღესაც მე,
იმ ნაზის წაძმადგენითა
და საიდუმლოთ ვიქანჯვი,
რომ ვეჭრა მითქვამს ენითა!...

დ. თომაშვილი.

სენაკის სკოლის საქმე.

როდესაც ათვალეობა რაც ამ სკოლის შესახებ არის დაწერილი გახ. „კვალში“ და „ივერიაში“, არ შეიძლება განცვიფრებაში არ მოგიყვანოს იმათში აღნიშნულმა საქმის გარემოებამ. ერთი რომ ცამეტი წლის განმავლობაში სულ ოთხი რევიზია მოუხდენია წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას და თითონ კი გაიძახის, სენაკის სკოლას მხოლოდ ჩვენ განვაგებთო. არ იცის კაცმა რას უნდა მიეწეროს ამისთანა ნდობა გამგეობის მხრით სკოლის მმართველისადმი! უკანასკნელი რევიზია გამოუწვევია უთანხმოებას ინსპექტორსა და მასწავლებელთ შორის. დაუყვირდეთ ამ რევიზიების მოხსენებებს.

პირველი რევიზიის მოხსენება ამბობს: „ჩვენი ყურადღება რევიზიის დროს მიიქცია უმთავრესათ უსიამოვნებამ სკოლის ინსპექტორსა და მასწავლებლებ შორის... უმთავრესი ბრალდება კი იმაშიაო, რომ ვითომ ბ. ყიფიანს არ ჰქონდეს რიგიათ და წმინდათ ნაწარმოები შესავალ-გასავალის დათრები. დაეთრის პირველმა გადაშინჯვამ დაგეანახვა, რომ დავთარი არ არის ნაწარმოები ისე, როგორც წესიაო და სხვა. მაშ მასწავლებლების საჩივარი ინსპექტორს წინააღმდეგ ამ რევიზიას მართლათ აღმოუჩენია, მაგრამ რევიზორები თხოვენ გამგეობას, რადგან ანგარიშების განხილვა დიდ დროს მოითხოვს, ამიტომ ეს საქმე მიენდოს ქუთაისის კომიტეტსო.

ამას შემდეგ გაიგზავნა დ. სენაკში მეორე საჩივარი კომისსია, რომელსაც დაწერილებით შეუმოწმებია ეს დათრები და აი რას ამბობს თავის მოხსენების ბოლოში: „ნამდვილი შემოწმება შემოსავალ-გასავალისა, კასის ნაშთისა ან სკოლის ფულითა ყოველად შეუძლებელი არის დათრების შემწობით.“ როგორც ვხედავთ ამ რევიზიასაც მასწავლებლის საჩივარი სამართლიანათ უცენია, და ბ. ყიფიანი დამნაშავეთ. ამას შემდეგ გააკვობას 28 თიბათვეს 1897 წ. დაუდგენია: ბ. თ. მთავრიშვილი გადაყვანილ იქნას სენაკის სკოლის გამგეთ ბ. ყიფიანის ალაგას, მასწავლებელი ი. რამიშვილი ბათომში და გოგოლაშვილი კავკაში. ამითი გამგეობასაც უცენია ბ. ყიფიანი დამნაშავეთ. ბ. ყიფიანი დაუსჯათ დანა-

შაულისათვის, ხოლო მასწავლებლები მართლის თქმისათვის. ყოჩაღ გამგეობაე! ამას შემდეგ ბ. ყიფიანის მეოხებით 57 თავად-აზნაურს მიუმართავს ბ. წინამძღოლისათვის და უთხოვინა ბ. ყიფიანი დარჩეს სენაკის სკოლის გამგეთო. ბ. წინამძღოლსაც, თითქო ეს მთელი სენაკის მაზრის თავად-აზნაურობის სურვილი ყოფილიყოს, ვეებერთელა თხოვნით მიუმართავს გამგეობისათვის და უთხოვინა, რომ ყოველივე საჩივარი ბ. ყიფიანის წინააღმდეგ უყურადღებოთ იქნას დატოვებულიო, თუნდაც ეს ყველა მასწავლებელთა გადაყვანას მოითხოვდესო. რისთვის ბ. წინამძღოლო, თუ მასწავლებლების საჩივარი ორმა რევიზიამ სამართლიანათ აღმოაჩინა? ამას გარდა ბ. ყიფიანი ქუთაისის კომიტეტის წევრებშიაც გაძვრამოძვრა და გამგეობასთან თხოვნა გააკზანია, რომ განჩინება არ მოეყვანა გამგეობას სისრულეში საქმის გამოძიებამდის. ორმა რევიზიამ ველარ გამოძია საქმე? მაშ რალათ იწუხებდენ თავს? რატომ ქუთაისის კომიტეტს არ მიანდევს თავიდანვე გამოსაძიებლათ, თუ ამ კომიტეტს სკოლის გამგეთ რაცხდენ? 22 მარამობისთვის 1897 წ. გამგეობამ დაადგინა, ზემო მოხსენებულ პროტესტების მიხედვით: „გამოეცხადოს მკაცრი საყვედური მთელ კრებულს სენაკის სკოლისას“. დიდი სამარცხენო საქმე არის გამგეობის იმ წევრებისათვის, რომელნიც ერთსა და იმავე საგნის შესახებ ჯერ აწერენ ხელს, რომ კაცი იქმნას დასჯილი და მერმეთ ამას აუქმებენ მეორე ხელის მოწერით, ი. რამიშვილი მაინც იქნა გადაყვანილი ბათომში, თუმცალა საყვედურიც გამოეცხადა. გამგეობა ამბობს, რომ რამიშვილი თავის სურვილით იქმნა გადაყვანილო. ძნელი დასაჯერებელი არის, რომ კაცი თავის სურვილით გადავიდეს ათას მანეთიან ადგილიდან ექვსას მანეთიანზე და ისიც ბათომში, სადაც ცხოვრება ძრიელ ძვირია შედარებით კავკასიის სხვა ქალაქებთან. 1) ამას შემდეგაც უსიამოვნობა მასწავლებელთა და ინსპექტორს შორის არ მოსპობილა და კიდევ უფრო გამწვავებულა. ბ. ყიფიანს გამგეობის კანცელარია აუქმისა წვრილმანი საჩივრებით მასწავლებლებზე. საქმის გამოუძიებლათ გამგეობას დაუთხოვინა აღმზრდელი ტ. წვრეთელი. ძველ მასწავლებლებს, თუკინდ ვთქვათ უსამართლო სანდურავე ჰქონდათ ინსპექტორის წინააღმდეგ, მაგრამ რატომ მიეკედლა იმათ ახლათ გადაყვანილი აღმზრდელი და ახალი მასწავლებელიც? ჩანს მასწავლებლების საჩივარი სამა-

1) ბ. რამიშვილი ჩვენ ვკატყობაიებს, რომ სწულეობით არ ყოფილა მისი სურვილი ბათომში გადასვლა.
რედ.

როლიანი ყოფილა და პატიოსან კაცს ბ. ყიფიან-თან სამსახური არ შესძლებია. უფროსიდანაც ყოველ სამსახურში მოითხოვება, რომ ქვეშევრდომებთან კარგი განწყობილება ჰქონდეს და თუ ეს ასე არ არის ის უფროსი არ ვარგა უფროსათ და დასჯიან, როგორც ქვეშევრდომებს, ისე უფროსსაც. ახლა გადავიდეთ 30 მაისის 1898 წ. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წლიური საერთო კრების ანგარიშის განხილვაზე (იხ. ივერია № № 115 და 116).


30 მაისს მომხდარ საერთო კრებაზე ერთი წევრთაგანი ბ. ი. აბაშიძე, რომელიც ცხოვრობს თფილისში და ყველა გამგეობის წევრებს იცნობს, და მოსალოდნელია ახლო უნდა იყოს გაცნობილი გამგეობის მოქმედებასთან, ჰკითხულობს: „მართალია თუ არა, რაც გაზ. კვალში იყო დაბეჭდილი სენაკის სკოლის შესახებ“ და სხვა. როცა ამას ჰკითხულობ, არ შეიძლება კაცმა თავის თავს არ ჰკითხოს: რისთვის მოქმედობს გამგეობა ფარულათ? რისთვის ინახავს ყოველსავე თავის დადგენილებას კარჩაკეტილში? რა არის ამის მიზეზი? ნუ თუ არ არის რიგი, რომ ქართველ საზოგადოებამ შეიტყოს, რას მოქმედებს მისგან ამორჩეული გამგეობა? რისთვის არ აცხადებს გამგეობა თავის დადგენილებას და ოქმებს განხილვაში საზოგადოების საყურადღებოთ? კიდევ კარგი, რამ ბ. ნ. ჟორდანიას წყალობით მოხერხდა სენაკის სკოლის საქმის ასე თუ ისე შეტყობა და გამოქვეყნება, თვარა ის სამუდამოთ ჩვენთვის დაფარული იქმნებოდა. ახლა მოუხსინოთ გამგეობის მდივანს, რა პასუხს აძლევს ის უ. აბაშიძეს. ბ. კარიკაშვილი ამბობს: „კვალში“ აღწერილი სკოლის საქმე ცოტა დამახინჯებული არის; რევიზ-ის მოხსენებაში აღწერილი არის ყოველივე გარემოება, როგორც სკოლის ინსპექტორის, ისე მასწავლებელთა შესახებ; დაწერილებით და გარკვევით დახასიათებულია მოქმედება ერთისაც და მეორისაც, ხოლო კვალში განგებ არის ოქმებიდან ამოკრეფილი ინსპექტორის გასამტყუნებელი ფაქტები და მასწავლებლების დანაშაულობაზე ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი, წერილი ცალმხროვანია“. 2) ძლიერ კარგი. ჩვენ ვეთანხმებით ბ. კ—შვილს, მაგრამ

გაუგებარი ის არის, რომ როცა ბ. კ—შვილმა წაიკითხა ცალმხროვანი წერილი, რისთვის არ იწება, როგორც გამგეობის მდივანმა, საქმის მეორე მხრის გამოქვეყნება, სახელდობრ ინსპექტორის გასამართლებელი და მასწავლებლების გასამტყუნარი საბუთების აღწერა? ამას თავი დაეანებოთ. ის ბრალდება ინსპექტორის წინააღმდეგ, რომელიც „კვალში“ არის აღწერილი ბ. კ—შვილმა ქვეშაირითა იცნო, ე. ი. ბ. ყიფიანი დამნაშავეაო, მაგრამ არც მასწავლებლები არიან მართალნიო. ბ. ნასიძის კითხვაზე: „რისთვის შეცვალა გამგეობამ თავისი დადგენილება“? გამგეობის თავმჯდომარე თ. ი. ჭ—ძე ასეთ პასუხს იძლევა: დაღაც უნდა შეეცვალა გამგეობას თავისი დადგენილება, როდესაც საქმე ისე არ იყო, როგორც მასწავლებლები ჩიოდნო. მაშ რა იყო ორი რევიზიის მოხსენება? მაშ ეს რევიზორები სათამაშოთ წავიდნენ სენაკში? ი. გოგებაშვილი ამბობს, რომ შემდეგ პირველი დადგენილებისა სხვა-და-სხვა გარემოებებმა აიძულეს გამგეობა შეეცვალა თავისი დადგენილებაო. უმთავრესი მიზეზი ამისა ყოფილა სენაკის თავად-აზნაურობის შუამდგომლობა ყიფიანის სენაკში დარჩენის სასარგებლოთ. არა ბ-ნო გოგებაშვილო, ეს არ ყოფილა სურვილი სენაკის თავად-აზნაურობის, არამედ ბ. ყიფიანის მუდარებით ამხედრებული თავად-აზნაურობის პატარა წრის. ამას ქუთაისის კომიტეტს თხოვნაც და ბ. მთავრიშვილის უარც მიმართება, ამ მოსაზრებებით გამგეობასაც დაუტოვებია ბ. ყიფიანი თავის ადგილზე. ქუთაისის კომიტეტს, თუ იმას სენაკის სკოლა ექვემდებარება და სკოლის საქმეზე გული შეტყივა, რევიზორების წინეთ უნდა აღენიშნა სკოლის უსიამოვნო მდგომარეობა და თუ თითონ არ შეეძლო ამისი მოსაზრება, უნდა მიემართა გამგეობისთვის. მაგრამ ის ორი რე-

ტორს? ან რა შუაში არიან აქ მასწავლებლებს, გაჩნდა იმისა რომ ეს თავისი ბრალდება გამოაშკარავს? რაც შეეხება შედაგოვიჩს მსარეს ამას ჩვენ არ შეგუბეთ ერთი იმიტომ, რომ ამტყუდარი დაჯა მინც და მინც დიდათ ამას არ ესებოდა და მეორეც იმიტომ, რომ ეს გარკვეუთ ცუდათ არ გამოეყენებიათ. ამასაც რომ შეგუბოდით, გამოჩნდებოდა რომ ბ. ყიფიანი სრულეით არ გაჩნდა, როგორც შედაგოვი და სკოლის ადმინისტრატორი. ეს დამტკიცებულია 22 მარტისთვის გამგეობის ოქმში და თუ საჭირო იქნება ამასაც გამოაშკარავებთ. მასწავლებელთ ის დანაშაული მიუძღვით, და ისიც არა უგელას, რომ ასეთ ინსპექტორის სელში გაჩნათ ვერ უსწავლებიათ. ხოლო ის, რომელმაც გაჩნათ ასწავლა—რამიშვილი — დასჯილ იქმნა.

ნ. ყ.

2) ჩვენ ერთხელ კიდევ ვაცხადებთ, რომ არავითარი ცალმხრობა არ ყოფილა ჩვენ წერილებში. ჩვენ წინდაწინ განესაზღვრეთ წერილის საგანი, სახელდობრ სკოლის ნიუთიერი მდგომარეობა, რასაც, რევიზორების სიტყვით, მასწავლებელთა უმთავრესი ბრალდება შეეხებოდა. ხოლო ეს ნიუთიერი მსარე ერთიანათ ინსპექტორის სელში იყო. მაშ ვის უნდა შეგუბოდით თუ არა ინსპექ-



ვიზის შემდეგ თხოვს გამგეობას, გაცალე ჩვენი აზრის შედეგა სკოლის შესახებო. ყოჩაღ კომიტეტო! ამას ჰქვია პატრონობა და გულშმატკიერობა! ალბათ ეს კომიტეტი ისე უგდებს ყურს სენაკის სკოლას, როგორც მე თქვენი უმორჩილესი მონა. გამგეობა გაიძახის; მხოლოდ ჩვენ ვართ სენაკის სკოლის გამგენო. ამას შემდეგ თავის თავს, თავის რევიზებს უარს ეუბნება და ქუთაისის კომიტეტს ანდობს საქმეს გამოსაძიებლათ. ამასთან რა მნიშვნელობა ჰქონდა მთავარიშვილის უარს სენაკში გადასვლაზე? ნუ თუ ისე დამცირდა საქართველო, რომ, როგორც „კვალი“ სამართლიანათ ამბობს, სენაკის სკოლის საინსპექტორო კაცა ვერ მოინახა? არა ეს იმას ნიშნავს, რომ ბ. ყიფიანი თავდებ ქვეშ გაუშვა გამგეობამ; წადი შენი გასამართლებელი საბუთი მონახე, რომ სრულიად უჩიქოთ დარჩე სენაკშიო. ბ. ყიფიანს თუ თავის გასამართლებელი საბუთები ჰქონდა სად იყო რევიზიების დროს? მაშინ ვერ წარმოადგინა? მაგრამ გამგეობამ დრო მისცა ბ. ყიფიანს აწეწილი საქმის შეკეთებისათვის. 15 ივნისს მომხდარ გამგეობის კრებას ბ. ყიფიანი გაუმართლებია და მასწავლებლები დაუსჯია. ერთი, რომელსაც ხუთი შვილი ჰყავს და ორს მათგანს გემნაზიაში ზრდის, გადაუყვანია მიყრუებულ და მივარდნილ სოფელ თონეთში 480 მან. ჯამაგირით, მეორე ისიც წერილ შეიღიანი ქ. ქუთაისის აღმზრდელათ 600 მ. ჯამაგირით და მესამე ესეც ცოლ-შვილიანი ქ. ბათუმში 480 მ. ჯამაგირით. ამზე უარეს განაჩენს ვერც ჩინგიზხანი დაადგენდა თავის დროში. რითა ასაზრდოოს ცოლშვილი პირველმა ამათგანმა, რითი გამოზარდოს შვილები, რომელნიც ანლა სწავლობენ გემნაზიებში? ნუ თუ უნდა გააწყვეტინოს სწავლა? აბა რას იზამს საწყალი, როდესაც გამგეობამ მოუსპო მის ბავშვებს სწავლის სახსარი. მეორე მასწავლებელსაც თათქმის შუაზე აქვს გაყოფილი ჯამაგირი; ეს მასწავლებელი ქ. ქუთაისის იქნა გადაყვანილი, სადაც ცხოვრება უფრო ძვირი არის ვიდრე ძველ სენაკში³⁾. მესამე ქ. ბათუმში იქნა გადაყვანილი, მაგრამ იმისთანა თქვენ მტერს იმას საქმე დაემართება: თვეში ექნება 40 მ. ცოლ-შვილიან კაცს ორი ოთახი მაინც უნდა და ეს ბათუმში სულ უკანასკნელი 20 მან. ღირს თვეში. ბათუმის სკოლაში მეორე მასწავლებლისთვის ოთახები არ არის. თუმც ამდენ ხანს ცხოვრობდნენ ორ ორი, ესენი ან ორივე უცოლ-შვილო

3) როგორც გავიკეთ ეს სწულად უადგილოთ და-რჩენილად წადეს მის მაგიერ გადმოყვანილი უარს ამბობს სენაკში წასვლაზე.

რედ.

იყვენ და ან ერთი მათგანი მეორეს უტყობოდა. ეაშა, ეაშა, გამგეობაე ამისთანა განაჩენისთეს! ყველა მაინც დაგესაჯათ, როგორც მასწავლებლები, ისე ინსპექტორიც. გაგიმარჯოს ღმერთმა შენც ბ. ყიფიანო, რომ შენი სურვილი, სამართლიანი იყო თუ უსამართლო, გაიტანე! „დათვი თუ გწყალობს, ტურა ვერაფერს გიზამსო“. აი, ცხოვრების ჩარხი როგორ ტრიალებს! კაცები ემსახურებიან ათ თორმეტ წელიწადს საზოგადოებას და მერმე სიპართლისთვის ულუკმა პუროთ რჩებიან. ამას უნდა მოველოდეთ მეოცე საუკუნის დამდევს?

მაგრამ ეს სულ ჩვენი საზოგადოების ბრალია. 30 მაისის საერთო კრებაზე 507 წევრიდან 30 დაესწრო და ამ რიცხვში 13 გამგეობის წევრები და დანარჩენიც თითქმის ყველა მათი მომხრეები. რისთვის ეკადება ქართველი საზოგადოება ამ საქმეს გულ-ცივით? რისთვის მიუხდევიათ ეს საქმე რამდენისამე კაც-სთვის? თუ გამგეობაზე გაუკრილდათ გული, ისიც საზოგადოების ბრალია: ჩვენ არ მივდივართ მათ კრებებზე და არც რაიმე ანგარიშს ვთხოვთ და იმათ როგორც უნდათ ისე მოქმედებენ. დრო არის, ქართველმა საზოგადოებამ თვალი გაახილოს! დრო არის ყოველივე დაწვრილებითი ანგარიში და მოსაზრება მოთხოვოს გამგეობას, ყოველსავე თავის მოქმედებაზე და განსაკუთრებით სენაკის სკოლის საქმეზე. კი, ბ-ნო გამგეობაე, გააძვევთ ეს სენაკის სკოლის 4 მასწავლებლები და მეხუთე აღმზრდელი, მაგრამ სასურველი არის შეგვატყობინოთ, რა მიზეზით და რომელი მოსაზრებით ან და რა დანაშაულისთვის? ან ბ. ყიფიანი რა მიზეზით და რა საბუთებით იქნა დატოვებული სენაკში?

ვ. ახვლედიანი.

ქ. ბათომი
20 ივნისი.

ჩ ე მ ი ს ტ რ ა თ ი .

დასასრული. *)

სოფელი №-ი ოდესღაც მთელი ამ კუთხის უპირველესი ქალაქი ყოფილა, მაგრამ ჟამთა ვითარებას დაუჩაგრავს. მთელი მისი ალებ-მიცემობა რკინის გზის სადგურებთან სოკოებსავეთ ამომჯდარ ბაზრებში დაქსაქსულა. დარჩენილა მხოლოდ რაღაც საცოდავი ოციოდე დუქანი, რომლის პატრონებსაც სხვაგან გადაბარგვის სალსარი არა ჰქონიათ, ვერც

*) ის. „კვალი“, № 26.

ნაჩვევ ხელობისათვის დაუნებებიათ თავი და ვაჭრობენ, ისე რაღა ჩვეულებით. №-ის მდებარეობა სწორებით საუცხოვრია. შუა სოფელში მრავლად მოჩუხჩუხენ ანკარა წყაროები, ჩრდილოეთის მხრივ ლამაზათ ამწვანებული გორაკები და დასავლეთით—ამაყათ გადმომცქერი ნაშთი ძველი დიდებისა, ციხის ნანგრევები, შევნიერ სანახავათ ხდის ამ სოფელს; მცხოვრებნიც მეტათ მკვირცხლნა, ნიჭიერნი და კარგი გამტან-საამხანაგონია, თუმცა სიღარიბისაგან კი ძალიან დაჩაგრული არიან. შევნიერი სქესის წარმომადგენელნი ხომ არიან და არიან!—ჩემი ქება არ ეჭირვებათ. ამათ სილამაზე-სიკეკლუცის მხრივ მსოფლიო ისტორიაშიაც კი უპირველესი ადგილი უჭირავთ. აი, ამ შევნიერ კუთხეში მარგუნა ბედმა მოღვაწეობა.

ჩამოვედი თუ არა, მცხოვრებლები დიდი სიხარულით მომეგებენ. დიდით პატარამდე ყველანი ჩემ სიამოვნებას ცდილობდნენ. დღეს ერთი მპატიჟობდა, ხვალ მეორე. შემდეგ ახლო-მანლო სოფლებშიაც გადამიპატიჟეს და მალე მთელი იმ კუთხის გავლენიანი პირები გავიცანი. პირველ წელიწადს სკოლისათვის სახლი მუქთათ დაგვითმეს და სკოლის ავეჯებზედაც ძალიან იაფათ მომარიგეს. ამათი შემწეობით ყველავეს იაფათ ვყიდულობდი, ხოლო ანგარიშებში კი სამი მანეთის მაგიერათ ხუთ მანეთსა ვწვრდი. ამ ნაირათ, იმ ათასი მანეთიდან თითქმის სამას მანეთამდე ჩავჯიბე. გაეყვი ასე ყოველი წვრილმანი ხარჯის ანგარიშებში გადამეტებით წერას და წლის ბოლოს კი ათას მანეთამდე ავკარ. ხომ ამდენს ვრჩებოდი, ანუ პარდაპირ რომ ეთქვათ, ვიპარავდი, მაგრამ პირშობა არავის დაუწამებია. წლის ბოლოს რომ უფროსებს ჩემ მიერ წარმოდგენილი ანგარიში განეხილათ, ძალიან გაკვირებოდათ ავეჯებისა, სხვა ნივთების და ხორაგეულობის ისე იაფათ ყიდვა. და ასეთი მოჭირნეობისათვის მათგან დიდი მადლობა მივიღე. რა თქმა უნდა, აქაურ ფასებს ისინი ქალაქისას ადარებდნენ და ის კი არ იცოდნენ, რომ აქ ქალაქთან შედარებით ყველაფერი უფრო იაფია.

პირველ წელიწადს ახალ გახსნილ სკოლას მოსწავლეები ყოველი მხრიდან მოაწყდნენ. ძალიან ვცდილობდი მთხოველი უარი თუკან არ გამებრუნებია, მაგრამ ვერ მოვახერხე. არას გზით არ შეიძლებოდა ყველა მსურველის სკოლის სადგომში დატევა და ამიტომ ბევრი გავებრუნე უკან. გულ დაწყევტილ მშობლებს ეურჩიე მაზრის წინამძღოლისათვის ეთხოვათ თავად-აზნაურობის სახელით თხოვნა გაეგზავნა ამხანაგობის სამმართველოში, რათა რამდენიმე განყოფილება კიდევ მოემატებიათ არსებული სკოლისათვის. მეც იქით აქეთ გავძევრ-გამოვძევრ და რამ-

დენსამე გავლენიან პირს ვათხოვენიე სკოლის გაფართოება. დიდხანს არ გაუფლია, რომ სამმართველოდან მივიღე მოწერილობა: „მმართველობამ გადაწყვიტა თქვენდამი მონდობილ სკოლას მომავალი ენკენისთვიდან მოუმატოს ორი უფროსი განყოფილება. ვაცნობებთ რა ამას, ვალათ ვადებთ დროით იზრუნოთ სკოლისათვის ქირით შესაფერი შენობის მოპოვებაზე“. მეც რასაკვირველია, დაფაცურდი, სხვებიც წამომემხარენ და ერთმა შეძლებულმა ვაჭარმა სულ მოკლე ხნის განმავლობაში სკოლისათვის შევნიერი სახლი წამოჭიმა და ძალიან იაფადაც დაგვითმო. სკოლის კურთხევა დიდი ამბით ვადეხადეთ. მრავალ წვეულთა შორის რამდენიმე ჩვენი ცნობილი მოღვაწეც ვრია. ნადიმზე ბევრი გრძნობიერი სიტყვა წარმოიტევა და უფრო მეტი კიდევ ღვინო დაილია.

ამ გვართ პაწაწინა სკოლის მმართველიდან დიდი სასწავლებლის უფროსი ვავხდი და „ბლალოროდლიდან—ვისოკობლოლოროდიე“ შევიქენ.

სახელი ხომ კარგია და კარგი, მაგრამ სახრავი კი ბევრათ უკეთესია. მარტო სახელისათვის აბა თავს რათ ვატყენდი. რაკი სკოლას შემოსავალი მოემატა, რა თქმა უნდა ჩემ ჯიბესაც მოემატებოდა. პირველ წელს შემდეგ დაწერილებით ანგარიშების წერასაც თავი დავანებე. ან კი რა საჭირო იყო ანგარიში, რაც სკოლის ხარჯს ვადარჩებოდა, განა ჩემ მეტს ვის უნდა წავლო? სკოლის ხარჯში დიდ ეკონომიას ვეწეოდი, ძალიან წუწკათ ვხარჯავდი, რომ მეტი დამრჩენოდა. მოსამსახურესაც ისე არ დავიჭერდი, რომ ნახევარი ჯამაგირი ჩემთვის არ მოეცა. ეთქვათ, მოსამსახურის ჯამაგირათ თვეში დანიშნული იყო თუთხმეტი მანეთი, მე მას მოაუფრიგდებდი ექვს ან შვიდ მანეთათ, ხოლო თვიურ ჯამაგირის მიღების ბარათში ვაწვრინებდი: „სრულად მივიღე ამ თვის ხვედრი ჯამაგირი, თუთხმეტი მანეთი“-თქო. სასმელ-საჭმელში დიდი არათერი მეხარჯებოდა, სანახევროთ თითქმის შინ არა ვსადილობდი, ძალიან სტუმართ მოყვარე მეზობლები მყავდა და ხან ერთი მპატიჟობდა ხან მეორე. ამ ნაირათ მალე კი ძალი თანხა შემვიგროვდა. კვარტლიანი სახლის ალაგას ჩემ სოფელში შევნიერი ორ სართულიანი სახლი წამოვჭიმე და კარგა ლამაზათაც მოვრთე. დებიც დავათხოვე; ამებზე დიდი ფული ვამივიდა, მაგრამ ჩემ თანხას თითქმის არც კი მოჰკლებია. ან კი როგორ უნდა მოჰკლებოდა, უკვდავი შოთას სიტყვებისა არ იყოს: „ზღვასაცა შესდის და ვადინების“-ო.. მეც თუ ერთი მხრით ვამდიოდა, მეორიდან ხომ უხვათ შემომდიოდა. ღმერთმა ისეთი მსუქანი დუმა ჩამიგლო ხელში სათლელათ და მეც ვთლიდი და ვთლიდი, შიში არაფრისა მქონდა. ან კი ვისი უნდა შემშინებოდა, როცა უფ-

ჩოსებათ სულ ჩვენები მყავდა. ქართველი კაცის ამბავი რომ მოგეხსენებათ, თუ არ მოგეხსენებათ ახლავე მოგახსენებთ... ქართველ კაცს რომ ჯიბიდან ფულს ჰპარავდე, თუგინდა არ შევიტყოს, ცოტაოდენი გროში გასახსკუნებლათ დაუტოვე. ხან და ხან რომ ჯიბეს ხელს წამოჰკრავს, თუ ჩხაკუნი გაიკონა ის დარწმუნდება, რომ ჯიბეში ფული უკლისათ უწყევია. იქნება იფიქროთ, რომ ანგარიში დაიწყოს: დღეს ამდენი მქონდა, ამდენი დავხარჯე და ახლა ამდენი უნდა მქონდესო? თქვენც არ მომიკვდეთ! იგი ანგარიშს დაჩვეული არაა უთუოთ დავხარჯავდი, თორემ ვ-სმე რომ მოეპარა, ამ „სახსკუნებელსაც“ არ დატოვებდაო, ასე სჯის ქართველი. მეც რამდენსამე გაღანარჩენ მანეთს ვტოვებდი „სახსკუნებლათ“ კასსაში და მით უფროსებს თვალს ვუხევედი.

გავლადი და გავლადკაცი. გვართ, როგორც ჩემოთ მოგახსენეთ, თავ გამოსაჩენი ვიყავ, თვალტანადობითაც არა მიშავდა რა, სწავლით... მართალია, უმაღლესი სასწავლებელი არ მქონდა დასრულებული, მაგრამ როცა უფროსები სასწავლებლის სტატისტიკურ ცნობებსა მთხოვედნ, ჩემს შესახებ ვწერდი: „Студентъ Т. Д. С., а также учился С.-П. Духовной Академіи“, „უმაღლეს სასწავლებელში ვსწავლობდი თქო“. იმის განხილვა-გამოძიებაში ხომ არ შევიდოდნენ, თუ რამდენ ხანს ვსწავლობდი მე იქ, ან რათ ეჭირებოდნათ. ჩემთვის კი ძალიან გამოსადეგი შეიქნა ჩრდილოეთში შიმშილით გატარებული ხუთიოდე თვე. ამ გარემოებამ საზოგადოების თვალში ძალიან ამწია. მომეტებულ ნაწილს უმაღლეს სასწავლებელში სწავლა დამთავრებული ვგონივარ. მეც ენაზე სულ პეტერბურგი მაკერია: „პეტერბურგში რომ ვიყავა... პეტერბურგში მინახავს... პეტერბურგში პროფესორმა მითხრა...“ სულ ამ გვარი ამბებით შევაქცევე ჩემ მოსაუბრეს და ვაჯერებ, რომ მე უმაღლეს სასწავლებელში მისწავლია.

ჩემს ხელ ქვეითებთან ნამდვილ ბისმარკისებურ პოლიტიკას ვადგევარ; ათასნაირი ჭორათ და მოგონებით ვცდილობ მათ დაცალცალკეევას, რომ ჩემს სიყალბეზე ერთათ არ ახმაურდნ. სათითაოთ კი რას დამაკლებენ! ბარე ორი გავიბურთავე ჩემი მოწინააღმდეგე და მით დანარჩენებსაც გავუწევე წინააღმდეგობის ხალისი. რამდენჯერმე დააპირეს ვითომ ჩემი ცოდვების გამხელა, მაგრამ მე ისინი დავარწმუნე, რომ ამით ისინი სამუდამოთ დაამხობდნ საშვილიშვილო საქმეს. ვუთითებდი მათ ვითომ და ჩვენ მტრებზე და ვეუბნებოდი: „მცირეოდენი მიზეზი საქმაოა, რომ სკოლა დაკვიხურონ. ამ საწყალი ბავშვების ცოდვაში ნუ ვარდებით, თუ მე არ მოკწონვართ, გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ საგა-

ისოთ აქ აღარ მოგებრუნდები“-თქო. იმათაც დამიჯერეს და ხმა გაკმინდეს. ახლა არ იკითხავთ როგორ შევასრულე ეს ჩემი პატიოსანი სიტყვა? ხშირად ვაყარე, რომ სკოლას თავს ვანებებ-თქო და ადგილობრივ გაელენიან პირებთან გამოსათხოვრათ შევედი. იმათ ძალიან ეწყინათ, ჩემი განზრახვა რომ შეიტყეს და მთხოვეს დავრჩენილიყავი. მე რასა: ვიროველი, უარზე დავდექი, მაგრამ ჩემ უარში უფრო „ჰო“ გამოიხატებოდა, ვინემ „არა.“ წასვლის წინ მივიხმე ერთი ჩემი „მეფინჩხე“ მეგობარი და ჩემ უფროსებთან საზოგადოებისაგან თხოვნის შავი დავუწერე, ვთხოვე ამ თხოვნაზე საზოგადოებისათვის ხელი მოეწერიებია და გასამრჯელოთ ჩემი გამოწვეალი მალალ ყელიანი ჩექმები ვაჩუქე.

დატრიალდა ჩემი „წოწოლა მეფინჩხე“ და მოკლე ხანში გაუგზავნა ჩემ უფროსებს ორმოცდაათი კაცის მიერ ხელ-მოწერილი თხოვნა, ჩემი დატოვების შესახებ.

ზაფხულში ჩვეულებრივ აბასთუმანში ვნებიერობდი, როცა უფროსებისაგან ქალაღი მივიღე, რომელშიაც იწერებოდნ: „საზოგადოება გთხოვს, ისევე დარჩეთ თქვენ ადგილზე. ჩვენცა გთხოვთ ენკენისოვიდან დაუბრუნდეთ ძველ ადგილს და უწინდელი მხნეობა-ბეჯითობით განაგრძოთ დაწყებული საქმე. ამასთან ალგითქვამთ, რომ მომავალი სამოსწავლო წლიდან ჯამაგირსაც მოგიმატებს და შრომასაც შეგიმსუბუქებთ.“

ძალიან ახირებულია თქვენმა მზემ! ფიე, როგორ მეხვეწებია: „შენი ჭირიმე, მოგვიცადე, ჯამაგირსაც მოგიმატებთ და შრომასაც შეგიმსუბუქებთ. გვაძრე და გვაძრე ტყავიო!“ ვინ მოშორდებოდა!.. მეც თანხმობა განვაცხადე. ეს ამბავი ერთ ჩემს ნაცნობ „მეფინჩხე“ ლიტერატორს ვაჩუქე ვამოვაცხადებინე.

დავრჩი ისევე ძველ ადგილზე, გავლადი და ვეთამამდი. ხომ გაკიგონიათ ანდაზა: „თუ ღმერთი ჩემკენაა, ხატებისა რათ შემემშინდებოა.“ რაკი უფროსები ჩემ მხარეზე იყვენ, ჩემს ხელქვეითებს რაში მოვერიდებოდი. გავუსვი და გამოეუსვი ძველებურათ. მსუნაგობასაც ერთი ორათ ვუმატე. ქალების შესახებ მოგახსენებთ: ო, ქალები, ქალები!.. ნამეტნათ მიყვარს ის შეჩვენებულები! ქალების მუსუსიო, რომ იტყვიან სწორეთ ისა ვარ. ქალების საზოგადოებაშიაც დიდი მოწონება მაქვს, მთელ მაზრაში საუკეთესო ვაჭათ ვითვლები.

თავი რომ ცოტა ფრთხილათ დამეჭირა, რა მიშავდა, ჩემ ბედს ძალიც კი ვერ დაჰყეფდა. მაგრამ ნამეტანმა სითამამემ და უკიდურესმა მსუნაგობამ კინალამ დამღუპა.

რაკი თავიდანვე სიმაართლით დაეიწყე, აღარც ახლა გადაუხევევ, ბოლომდის სულ სიმაართლეს ეი-ლაპარაკებ. მერე მე ხომ ჩემ სურათსა ვწერ და, რომ ვიცრუო, სურათიც ნამდვილი აღარ გამოვა, გადამახინჯებული სურათი კი ძალიან მეჯავრება. მაშ სიმაართლე და სიმაართლე ბოლომდის! ცოდვა გამხელილი ჯობია.

ქმრიანებმა რომ თავი მომაბეზრეს, ს-ბერის ხანს ქალიშვილებს დაეუწყე დევნა. ფულით, თუ სხვა საჩუქრებით არა ერთი და ორი გამოუცდელი მტრედი გაეავი ბადეში. ბოლოს ჩემდა საუბედუროთ გადავეკიდე ერთ უბრალო სოფლის გოგოს, რომელთანაც აღარც ფულმა გაჭრა და არც სხვა საჩუქრებმა; ბევრი ვღივ, მაგრამ სულ უნაყოფოთ. მოკე-ხსენებათ „ღერქმირღების“ ჟინიანობა, მეც აღარ მოვეშვი და, სხვათრეც რომ არა გამოვიდარა, ცოლათ შერთვას შევიპირდი. ამ დაპირებამ კი გაჭრა და ჟინი დაეიკაყოფილე. საზოგადოთ ხანგრძლივი კავშირი ვისმესთან ჩვეულებათ არ მქონია. ძალიან მალე მალ ვიცვლიდი სატრფიალო საგანს. არც ჩენი კ-ეშირი გაგრძელებულა დიდ ხანს. დაპირება, რა თქმა უნდა, დაეწყებას მივეცი და მალე სხვა ჩიტებზე გავინადირე. ისე გამიტაცა და მამაჯადოვა ამ გვარმა დროს ტარებამ, რომ ჩემი პირდაპირი მოვალეობა დამა-ეიწყდა. დამეიწყდა, რომ მმართველს ისეთი დაწესებუ-ლებისას, როგორიც სკოლაა, არ შეჰყვების ასეთი არამზადული საქციელი, მაგრამ განა აღამიან იმის-სთვის არა ცხოვრობს ქვეყანაზე, რომ რაც შეიძლე-ბა მეტი ისიამოვნოს? ჩემი აზრით ყოველი კაცი უნდა ცდილობდეს ცხოვრება თავის და სასიამოვნოთ მოაწყოს. აღამიანს რომ ამის უფლებაც არა ჰქონ-დეს, ეს ქვეყანა ხომ ჯოჯოხეთათ გადაიქცეოდა. შეიძლება თქვათ: „ისიამოვნე, მაგრამ შენი სიამო-ვნებისათვის სხვას მწუხარებაში ნუ ჩააგდებო.“ კი ბატონო, მაგრამ რა ვქნა, თავიდანვე ქვეყნიერება ასე მიმდინარეობს: სადაც სიამოვნებაა, იქ უთუოთ მწუხარებაცაა, სადაც სიცილია — იქ ცრემლიცაა, გან-სოვთ სულ მნათი შოთასსიტყვები: „ღმერთმა ერთი რათ აცხონოს, თუ მეორე არ წაწყმიდოსო?“ ასეა, ჩემო ბატონო! ქვეყნის ჩარჩის გადაბრუნება მე არ შემიძლია. ყველამ თავისათვის იზრუნოს. ყველამ თავის და სასიამოვნოთ უნდა მოაწყოს ცხოვრება.

ესარობდი და ესიამოვნობდი, მაგრამ ეს ჩემი სიამოვნება კინალამ ჩამაშხამა ჩემმა დაეიწყებულმა სატრფომ. მან რამდენჯერმე მომაგონა ჩემი დაპირე-ბა. მომაგონა, რომ მალე ჩემი შვილის დედა უნდა გამხდარიყო და, თუ დროზე ჯერს არ დაეიწვრდი, ქვეყანაში თავი მამეჭრებოდა. მე, რასკვირველია, ძა-ლიან შორს დაეიჭირე. ალერსით და დაყვავებით რომ არაფერი გამოვიდა, უკანასკნელათ ძალა ვინმარე, კარში გავკადე და დავემუქრე: პოლიციას მიემართავ შენი თავხედობია ასალაგმავათა-თქო. მაგრამ იმან აღარ მაცალა და პირაქეთ ბრალდებულის სკამზე მე

დამსვა. შენი მტერია; ცუდათ წაივიდოდა საქმე, რომ მეგობრები არ დამხმარებოდენ და იმ ქალთან არ გავერიგებინეთ. კი მრგვალი ექესასი მანეთი გა-დამხდევინა ნალდათ, ექესასიც შემდეგისათვის შეე-პირდი და, როგორც იქნა, ჩამომშორდა. ფულს ჯა-ნიც გავარდნოდა, რომ საქმე ამით დაბოლოვებუ-ლიყო. ამ ამბავმა ჩენი უმაღლესი მთავრობის ყუ-რამდე მიალწია და შეიქნა სასტიკი ჩხრეკა-ძიება. მთე-ლი წლის განმავლობაში მუხლებს კანკალი არ დამ-წყენარება. ჩემი ბედი ახლა ჩემი ხელ-ქვეითების ჩე-ნებაზე იყო დამოკიდებული. მეც რამე ნაირათ უნდა დამერწმუნებინა ისინი, რომ თუ ჩემ წინააღმდეგს აჩვენე-ბდენ, ამით სკოლას დალუბავდენ და მტრებს გაახარე-ბდენ. ხელ მეორეთ მივეცი მათ პატიოსანი სიტყვა, რომ თუ ახლა ისინი თავს ლაფის დასხმას მომაშორე-ბდენ მომავალი წლიდან უთუოთ თავს დაენებებდი სკოლას. იმათაც თურმე იფიქრეს: თუ ჩვენ ამას ახ-ლა მხარი არ დაეუჭირეთ და ყოველივე ის დაუმ-ტკიცდა, რაც ბრალდება, განა ჩვენ კი არა გვკით-ხავენ, სად იყავით, ამის გარყენილებას ხელს რათ აუარებდითო?... და ისევე ჩემი გამართლება ამჯობი-ნეს. ჩემი ნაცნობი ბობოლაებიც ძალიან დამხმარენ, თორემ ჩემ საქმეს საშველი არა ჰქონდა.

როგორც იქნა გაიარა გრიგალმა და თავისუფ-ლათ ამოვისუნთქე. ენკენისთვეში რომ ისევე სამსა-ხურში დაებრუნდი, ჩემ ხელ ქვეითებს ძალიან ეუ-ცხოვათ. ერთ ხანს ფიქრობდენ, რომ მე აღბათ სა-ქმეების ჩასაბარებლათ ჩამოვედი და არაფერი უთქ-ვამთ. მაგრამ, როცა შემატყეს, რომ მე იქიდან და-ძვრას სრულიათაც არ ვფიქრობდი, ჩემი „პატიოსანი“ სიტყვა მომაგონეს. მე ამაზე იმათ ასე ეუზასუხე: იმა-ზე უფრო მკაცრი გამოძიება, რაც ჩემს შესახებ მო-ახდინეს, ყოველად შეუძლებელია. ჩემ მოქმედებაში თუ რამ სიყალბე ენახათ, უთქვენოთაც დამითხოვდენ და თქვენ ვისი მატრაკვეციები ხართ, სამსახურიდან რომ მითხოვთ მეთქი“.

იმათ ერთ ხანს ითმინეს, ცდილობდენ ვითომ ჩემ გასწორებას და მამა-შვილურ დარბილებას მამლე-ვდენ, მაგრამ რომ ვერა გააწყესრა, მოუყარეს თავი ერთათ ჩემ ძველსა და ახალ ცოდვებს და უფრო-სებთან მიჩივლეს.

ქვეყანა ააყაყანეს, ლამის ჩემ მთარველ, მწყა-ლობელ ბობოლებსაც ჩემზე ეჭვი ააღებინა... „ძა-ლიან ცუდათაა საქმე. ორმოც-და-ათ ფოლადის მს-გავს ბრჭყალს მაგრა ვეყვარ ჩაბლუჯული, მაგრამ ფუ, ჩემ „ბე—ლობას“ თუ ამათაც ხელიდან არ დაეუ-სხლტე....

„ბე—ლი.“

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.